

„თეომატიკისა და პოეტიკის საზღვარსა და საზღვარგარეთსა...“  
საქართველო, იგი ყველგან სწავლობს... ყოველი  
სახეობის, რადგან ჩვენს ქვეყნში თუ გარე  
დასახლებაში, ნაწილ-ნაწილად არის  
დასაფუძვლიანი, რომ მიიღოს და  
მეცნიერება აღიქვას იქნას.“

# ხობის მოამბე

№6-7 (7043) 9 აპრილი,  
ხუთშაბათი, 2015 წელი.  
შპს 1 ლარი.

## ხობის მუნიციპალიტეტის განვითარება

### საქართველოს პრემიერ-მინისტრი ხობში



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილმა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრთან ოთარ დანელიასთან, სახელმწიფო რწმუნებულთან გუბერნატორთან ლევან შონიასთან და ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელთან გონა ქაჯაიასთან ერთად თხილის ქარხანა მოინახულეს, ხობში შპს „ჯორჯიან პროდაქტს რენესანსი“ მიერ დაფუძნებული ქარხანა 2013 წელს აშენდა და მასში 300 000 აშშ დოლარის მოცულობის ქართული ინვესტიცია განხორციელდა. წარმოების განვითარების მიზნით, ქარხანამ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში მოიპოვა 782 000 აშშ დოლარის ოდენობის დაფინანსება. საწარმომ შეძლო შეესაღწა თანამედროვე, უახლესი მოსახალი და შესაფუთი მანქანა-დანადგარები, ძირითადი საჭირო, საწარმოო აღჭურვილობები და ნედლეული.

ქარხანაში იწარმოება თხილის გული, მოხალული თხილი, ბლანშირებული თხილი და აგრეთვე ინოვაციური თხილის პროდუქტი-მოხალული, დამარილებული თხილი ნაჭუჭით. მასში ამ ეტაპზე 25 ადამიანი დასაქმებული (პერსონალია 70 ადამიანი დასაქმება) და დღეში 4 ტონამდე თხილის გადამამუშავებას ახორციელებს.



WWW.khobi.ge

### ჩვენ ასახელებული ვართ საქართველოს პრემიერ-მინისტრის

#### საქართველოს!

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიოგრაფიული მარჯვენა 2015 წლის ყოველწლიური საპარლამენტო მოხსენება



5,6,7,10

## აცამაღლებული გმირები

ქართული საზოგადოება დღეისათვის, მათი ერთსაქმობისა, ერთად უზღვიდა იუბილეს სამ თანამებრძოლს, სამ ძმასა და მეგობარს იტყვივს, ამიტომაც მსურს „სამები“ წარმოვადგინო-ზვიადი, მერაბი, მუხრანი...

როგორი სუბიექტივიზმიც არ უნდა დამწამონ, როგორც ამ სამი ბუმბერაზი ადამიანის იდეების ერთგულ პიროვნებას, ვიტყვი, რომ საქმე მათი, ღვაწლად მათი, ამქვეყნიურება მათი გახლდათ ლეგენდა, უფლისძევერი ძალმოსილებით გამხვევებული..

სხვა ყველაფერთან ერთად, ამის თქმის უფლებას მაძლევს ქართული საზოგადოების ერთსულლოვანი გადაწყვეტილება – მთავრდება, უპირველეს პანთეონში დაეკრძალა აცამაღლებული გმირები და მრავალი საკითხისწინაშე მოესპო.

ზვიად გამსახურდიამ თავისსავე გამითებულ აღსასრულს შეგნებული ცხოვრების დასაწყისშივე ჩაუყარა საფუძველი. არ შეცვალა საკუთარ არსში საუკუნეებიდან გადმოცემული, ისტორიული ბედისწერით გადმოცემული კოდი თავდადებასა. ზვიადი თვედორე მღვდელივით ბედისად კი არ გადაყარა მტერს, არამედ თავად გააღვიძა ბუნებაში ჩათუნებული „წითელი ღოვი“. მის გონსა და არსში წინაპართა ცრემლთა და ტკივილით გაჯერებული მარადიული ოცნება ჩანაშრედა და ამ საგონის-საწინააღმდეგობის მიეტოლა სიკვდილს.



მერაბ კოსტავა – „მე ქუხილისა“, ქარიშხლებს შეეპოვა და თავად გაუსინჯა პულსი საკუთარ სიკვდილს. დიდებულად შენიშნა პოეტმა: „მერაბს გზაზე ხბომ კი არა, იმპერიათ გა-



დაურბინა“...

„საბას“ ავტორს კი საკუთარი ლექსების ორომტრიალში უწია წამმა აღსასრულის და სცენაზე, მუხლმოყრის გარეშე, წაიქცა მუხა ქართული წყობის იტყვაობისა.

ადამიანი, თუ ის მამულიშვილია, სამშობლოს ალი-კვალი უნდა იყოს და მისეული მრწამს-ნათელით მიემზღოს სამყაროს, მისი საწინააღმდეგობით ტკივილობდეს და საკუთარ არსში აშენებდეს მამულის სახეს.

13

## „მათი ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს...“

საქართველოს უახლოეს ისტორიაში, ცხრა აპრილი ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული დღეა. მიმანია, რომ 9 აპრილი ამაღლებული დღე უფრო იყო, ვიდრე ტრაგიკული, რადგან ქართველი ერი ერთიანი იყო. ადამიანებს შორის საოცრად თბილი დამოკიდებულება სუფევდა. ურთიერთობაც ისეთი ფაქიზი გახლდათ, რომ შეიძლება ცრემლი მოგროვდეთ, რასაც დღევანდელ ვითარებაზე ვერ ვიტყვი. დღეს ხალხი ძალიან აგრესიულია. ეს საოცრად დიდი სიყვარულის პერიოდი გახლდათ. იქ მყოფებს არაფრის ეშინოდათ. შიში მათთვის მიუღებელი იყო... 9 აპრილი იყო ქართველი ერის გმირობისა და თავისუფლების წყურვილის გამოხატულება. ტრაგედიის შემდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, მერაბ კოსტავა იტყვის: „ისტორიაში დგება დიდებული წამები, როდესაც ერთად შეკრული ქართველი ერი წარსდება უფლის წინაშე“. 1989 წლის 9 აპრილიდან ზუსტად ორი წლისთავზე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ ზვიად გამსახურდიას მე-

თაურობით საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი მიიღო. ამდენად, 9 აპრილი საქართველოსა და ქართველი ხალხისთვის ერთდროულად არის ცრემლისა და სიხარულის დღე, ჩვენი ისტორიის უმნიშვნელოვანესი ფურცელი.

1989 წლის 9 აპრილს, ქართველმა ადამიანმა გააცნობიერა, რომ ის იყო ქართველი და არა საბჭოელი, გააცნობიერა, რომ თავისუფლება და დამოუკიდებლობა წყურია. 9 აპრილის ტრაგიკულ და სისხლიან დამებას, როდესაც ათასობით ადამიანი მოითხოვდა საქართველოს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას, საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება და სასტიკად დაარბია თავისუფლების მოთხოვნით გამოსული ხალხი.

21 ადამიანი იქნა მოკლული საბჭოთა შენაერთების მიერ, ადამიანები, რომლებიც დღეს გმირები არიან, ისინი შეეწირნენ საქართველოს დამოუკიდებლობას, შეეწირნენ საკუთარი ქვეყნის თავისუფლებასა და სიყვარულს..



ადამია აზა, ბაშალეიშვილი ეკა, ბეჟანიშვილი ეკა, გორგაძე ნატო, დოლიძე თამუნა, ენუქიძე თინა, თოიძე ნინო, კიკვიძე ზაირა, ლოლაძე მანანა, მამულიშვილი თამარი, მეტრეველი ვენერა, ნოზაძე მამუკა, სამარგულიანი ნანა, ქვასროლიაშვილი შალვა, ჭყონია-სამარგულიანი მარინა, ჭიპაშვილი ელისო, ჭოველიძე თამარი, ჯანგი-რაშვილი ნოდარი, ჯინჭარაძე მზია, მელქაძე მანანა, ქარსელაძე გია.





### პატრიარქის ბაღაყვაძილით, ღვთისადმი მადლიერების დღე დაწესდა



უფლისადმი მადლიერების დღე ყოველი წლის აღდგომა დღეს აღინიშნება. ამის შესახებ კათოლიკოს-პატრიარქმა საკვირაო ქადაგებისას ბრძანა. მადლობის ლოცვა და წირვა პირველად სვეტიცხოველში შესრულდება. აღდგომის წინა დღეს, შაბათს მსვლელობა დაიწყება.

როგორც პატრიარქმა ბრძანა, სასურველია, თბილისიდან მცხეთაში ფეხით ჩავიდნენ. მისივე თქმით, დაიკვლება მოზვერი, 7 ცხვარი და უფალს მადლობას შესწირავენ. ხოლო კვირას, 18.00 საათზე შესრულდება სამადლობელო პარაკლისი და სამღვდელთა ქუჩაში ნაკურთხ წყალს ასხურებს.

ჩვენ ვლოცულობთ ყოველდღე და გვაძვირდება, რომ უფალს მადლობა შეგვიწიროთ. ათი კეთროვანი მაცხოვარს შეხვდა. მათ შორიდან დაუწყვეს ყვირილი და თხოვნა, რომ განეკურნებინა. უფალმა განკურნა, წადით და ეჩვენეთ მღვდელსო. ისრაელში იყო წესი, როცა ადამიანი კეთროვანებისგან განიკურნებოდა, მღვდელთან უნდა წასულიყო და მღვდელს უნდა დაედასტურებინა, რომ ის განკურნებული იყო. როცა კეთროვანები მღვდელთან წაივინდნენ, გზაში შეხედეს თავიანთ თავს, რომ განკურნებული იყვნენ. აქედან ერთი მათგანი დაბრუნდა, უფლის წინაშე მუხლებზე დავარდა და მას მადლობა უთხრა. უფალი ეუბნება: ცხრანი სად არიანო. ვერ იპოვეს ძალა თავის თავში, რომ მისულიყვნენ და მადლობა შეეწიროთ უფლისთვის. აი, ეს გვაძვირდება ჩვენ და ეს უნდა გვახსოვდეს. ამ წლიდან, ყოველ წელიწადს აღდგომა დღეს მადლობის პარაკლისი და ლოცვა ღვთისადმი შესრულდება. ყოველი წლის აღდგომა ღვთისადმი მადლიერების დღე იქნება. ბედნიერია ის ადამიანი და ის ერი, რომელიც მადლობს უფალს და დიდ მადლს იღებს, დიდ მადლს მიიღებს საქართველო აღდგომის დღესასწაულზე, —ბრძანა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა.

მარინე ლაგვილავა—პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელია, რომელმაც წარმატებით გაიარა გამგებობის მიერ გამოცხადებული საჯარო კონკურსის სამივე ეტაპი.

სოფლის ხელმძღვანელობა ადვილი ნამდვილად არ არის და არც არასოდეს ყოფილა. მე ვიტყვოდი, ამ თანამდებობაზე ყოფნისას ადამიანს განათლების მაღალი დონის გარდა, აუცილებლად სჭირდება კომუნიკაციის, ადამიანებთან ურთიერთობის, უბრალოებისა და თანადგომის უნარი. რაც მას უქმნის ავტორიტეტს და ხალხში ნდობას უნარჩუნებს. საბედნიეროდ, ქალბატონ მარინეს არც ერთი ზემოთხაზული უნარი არ აკლია. ამიტომაც შეუძლია თამამად თქვას—ხალხსაც ვუყვარვარ და მეც ისინი ძალიან მიყვარსო. ამის თქმის უფლებას, ალბათ, ისიც აძლევს, რომ იგი თავადაც ამ სოფლის ნაწილია, იქ დაბადებულ-გაზრდილი და შემდეგ აქვე დაოჯახებული. განათლებული და ნიჭიერი ფინანსისტის ბატონ ვაჟა ბუკიას მეუღლე.

წლების წინათ ამ ლამაზ ოჯახში ყველაფერმა ფერი დაკარგა. თბილისში მომხდარმა ავტოკავრიამ იმსხვერპლა მათი ერთადერთი ვაჟი, უნივერსიტეტის ეკონო-

მიკის ფაკულტეტის ახალ-კურსდამთავრებული, ოჯახის და მისი პროფესორ-მასწავლებლების დიდი იმედი ლევან ბუკია. გაუსაძლისმა მწუხარებამ ოჯახის ყველა კარი ჩარაზა... ქალიშვილის ამარა დარჩენილმა მშობლებმა უამრავი ჭირი-სუფლისა და თანაგრძნობის მიუხედავად, დიდხანს ვერ შეძლეს მდგომარეობიდან გამოსვლა...

სწორედ აქ „იმარჯვა“ დრომ, გააძლიერა მონატრების გრძნობაც და პასუხისმგებლობაც ახლობლების, მეგობრების, ზოგადად საზოგადოების მისამართით! მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო... ვის შეეძლო გაეთავისებინა სხვისი ჭირი, თუ არა მარინეს...

დღეს ტკივილიანი გულით, მომღიმარი სახით და სითბოთი ემსახურება მის სათაყვანებელ სოფელს...

ქალბატონი მარინე თავად მოგვიყვება სოფელში მიმდინარე პროცესებზე, ჩვენ მადლობას ვუხდით მას თანამშრომლობისთვის.

მერი ლაგვილავა



—ორი წელიწადია ვასრულებ ამ მოვალეობას. ადვილი ნამდვილად არ ყოფილა. რთულია სოფლის მართვა, ათასი პრობლემაა, ათასი მოთხოვნა. ყველას უნდა გაუგო, მიუდგე, როგორც დაწერილი, ისე, მორალური კოდექსით.

დავიწყებ იქიდან, რომ 2013 წლიდან

სოფელში, როგორც სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში, ასევე სხვა პროექტების გათვალისწინებით, ძალიან ბევრი პრობლემა იქნა მოგვარებული. სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამით უკვე მესამე წელია უფასო ხვნის პროექტები ხორციელდება. სოფელში არსებული სახნავი ფართობების თითქმის 100%- ათვისებულია. 15–20 წლის დაუმუშავებელი ფართობებია დამუშავებული. გასული წლის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში აღდგენილიქნა რამდენიმე ხიდ-ბოგირი, ასევე შემოღობილიქნა საპრივატიზაციო ფართობების 40%, ყოფილი საკრებულოს ეზოსა და რამდენიმე ოთახს სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა, სადაც ახლა განთავსებულია ადმინისტრაციული ერთეული.

2014 წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა სამ ქუჩას, რამდენიმე უბანში ამოიწმინდა სანიღვრე არხები, აიგო ახალი ხიდები, შემოღობილიქნა ბულიწყუსა და

საკვიკვინოს უბანში არსებული საპრივატიზაციო ფართობები.

სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის მიზნით, ისევ განმეორდა ხვნის პროექტი. თით-

მება. ამ სამი წლის განმავლობაში გაკეთებული საქმეების ჩამონათვალი თითქოსდა ბევრია, მაგრამ გასაკეთებელი უფრო მეტია.

ცხრა წლის განმავლობაში

ავიცილებო. ჩვენს სოფელში არ არის ცენტრალიზებული წყალი, ზოგიერთები იტყვიან, სოფელში ჭები ხომ არისო. მართალია ჭები არის, მაგრამ ზოგ უბანში აბსოლუტურად უვარგისია წყალი, ზოგან ზაფხულში მთლიანად შრება. წყლის გაყვანითი სამუშაოები კი სოფლამდე მოსულია. ჩემი ნატვრაა, ჩემი მუ-

შაობის პერიოდში მოხდეს ამ ორი უდიდესი პროექტის განხორციელება, ასე მგონია, 21-ე საუკუნეში მოსახლეობას არ უნდა ჰქონდეს წყლისა და გაზის პრობლემა.

მეიმედება საქართველოს მთავრობის, რომელიც ცდილობს მაქსიმალურად დაეხმაროს მოსახლეობას და შეუმსუბუქოს ყოფითი პრობლემები, მიუხედავად შემხვედრი დაბრკოლებებისა, ვეცდები ნებისმიერი საკითხი დროულად მივიტანო ადგილობრივი ხელისუფლების ყურამდე, რათა დროულად მოხდეს რეაგირება. მინდა მოვესწრო ისეთ სოფელს, რომელიც იქნება ძლიერი, საზოგადოება მყარი, მოისპობა ხიდნატეხილობა და არ იქნება იმდენი გადასაწყვეტი პრობლემური საკითხები, რამდენიც დღესაა.

ძლიერი სოფელი, ძლიერი ქვეყნის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ვიმედოვნებ, რომ ხვალინდელი დღე უფრო ლამაზი და ბედნიერი იქნება, ვიდრე დღევანდელი.

მარინე ლაგვილავა, გამგებლის წარმომადგენელი სოფელ პირველ მაისში.

## სხალინდელი დღე უფრო ლაკაზი და გედნიერი იქნება

ქმის 100% ათვისებულია სახნავი ფართობები, რომელიც არის ჭარბი მოსავლის საფუძველი, ამისუნთქა მოსახლეობამ. გასულ წელს ასევე 150 000 ლარის ოდენობით ნაპირსამაგრი სამუშაოები იქნა ჩატარებული, რომელიც შერჩეულიქნა მოსახლეობის მოთხოვნით.

2015 წელს ისევ ხორციელდება სახელმწიფოს მხრიდან უფასო ხვნის პროგრამა. დღეის მონაცემებით სახნავი ბარათები დარიგებულია ბენეფიციარებზე და ხვნას დაიწყებენ ქვედა ზონაში 1 აპრილიდან. წელს ასევე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გარკვეული თანხაა გამოყოფილი, რომელიც სოფლის საერთო კრების გადაწყვეტილებით მიმართულია, სოფელში არსებული ბაგა-ბაღის გასარემონტებლად და საკვიკვინოს უბანში არსებული წყაროს-წყალზე აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად. მინდა გითხრათ, რომ მიმდინარე წელს ხობის მუნიციპალიტეტის დახმარებით ორი ხიდის და ჭიხუს უბანში გაზის გაწმენდითი სამუშაოების ჩატარება იგეგ-

მარინე ლაგვილავა, გამგებლის წარმომადგენელი სოფელ პირველ მაისში.









# დ ე დ ა

## „ქართული ენა“

### 14 აპრილი დედა ენის დღეა



გილოცავთ, 14 აპრილი და-  
ენის დღეა, იმ ენის დღეა, რომლის  
მიმართ ცნობიერი დამოკიდებუ-  
ბუბაა ქართველმა ხალხმა  
სამარა-დისოდ აღიარა, როცა  
მშობლიურ ენას „დადანა“  
უწოდებდა, ენისა და დედის იდენტ-  
იფიკაცია ხი ქართველი ხალხის  
მეცხვრობის უროვნების მხან-  
იერი მავალითა და უბუნარად  
ადასტურებს ქართული ენის  
მნიშვნელობის დღეა მაცნობას.

1. მშობლიური (ქართული) ენა-რას იტყვით მის შესახებ, როგორია მისი წარსული, აწმყო, როგორ ხედავთ მის მომავალს?
2. საიდან უყვარდება, ვინ უნდა შეაყვაროს და როგორ უნდა შეეყვაროს მშობლიური ენა ბავშვებს, რა ასაკიდან უნდა დაიწყოს მისი სწავლება?
3. თუ გამოყოფდით ენის განვითარების ისტორიაში ყველაზე ცუდ და აღმავლობის პერიოდებს. დღეს რა მდგომარეობა გვაქვს?
4. თქვენი აზრით, ყველაზე მეტად რა მიზეზები იწვევს ენის „გაბინძურებას“?
5. რა მდგომარეობა გვაქვს დღეს სკოლებში ქართული ენის სწავლებასთან დაკავშირებით, რა პრობლემებს გამოყოფდით? რა წინადადებებს გვთავაზობთ?
6. გვყავს თუ არა ქართველებს თანამედროვე იაკობ გოგებაშვილები, ვინ შეიძლება ის იყოს?
7. დღეს თუ იწერება და გამოიცემა ქართული საბავშვო და ახალგაზრდული ლიტერატურა, ჟურნალები, როგორია მათი ხარისხი?
8. რა ღონისძიებების გატარება მიგაჩნიათ აუცილებლად ენის გადასარჩენად?
9. თქვენი საყვარელი სტროფები მშობლურ-ქართულ ენაზე.

**ჩვენი რუბრიკის დღევანდელი სტუმრები არიან ქალბატონები ნანა ქვარაია (ფილოლოგი, სობის №2 საჯარო სკოლა) და იზოლდა ცხადია (ფილოლოგი, ნოჯინების №1 საჯარო სკოლა).**

1. ენა ისტორიული კატეგორიაა და ამიტომ მასში ერის ისტორიაა განსხვავებული. ის ერის ცნობიერების მთავარი ნიშანია, მასში მკაფიოდ აირეკლება წარსულიც, აწმყოც და მომავალიც; დაცემა თუ აღდგენა, ტკივილი თუ აღმავრენა... „ენის სული უტყუარი და მჭევრმეტყველური მოწმეა კაცობრიობის მიერ განვლილი გზისა, ცხადივთ მაჩვენებელი ჩვენი მეტყველების, როგორც ცოცხალი ორგანიზმის“. (შ. ძიძიგური) დღიდან შექმნისა მრავალი წინააღმდეგობა გამოუვლია მას და დღეს თითოეული ჩვენგანის ვალია, გუფრთხილდებოდეთ და ვპატრონობდეთ მას, რადგანაც მისი მომავალი ჩვენ გვაბარია. პატრიოტიზმი, მხოლოდ პათეტიკური ტონით საუბარი როდია, სამშობლოს სიყვარული, უწინარესად, მისი ძირითადი კომპონენტების პატივისცემას გულისხმობს. „ჩვენ უნდა შევძლოთ და კიდევ შევძლებთ, რომ იზეიმოს ენამ ქართულმა“.

2. ძალიან ძნელია ზუსტად გასცე პასუხი კითხვას, თუ საიდან უყვარდება მშობლიური ენა ბავშვებს, ისევე როგორც ძნელია უპასუხო, საიდან უყვარდება დედა. ეს უფრო თანდაყოლილი და ბუნებრივი პროცესი მგონია. როგორც კი ბავშვი დაიწყებს გარემომცველი სამყაროს აღქმას, ამასთან უნდა სდევდეს ენის, როგორც მშობლიურის, გაცნობიერება. ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვანია მშობლის როლი და ამას-

თან ერთად, სკოლის როლი განსაკუთრებულია. მშობელმა და მასწავლებელმა ერთად უნდა იზრუნონ, რომ ენისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება ჩამოუყალიბონ მოზარდს.

3. დღიდან არსებობისა მრავალ წინააღმდეგობას გაუძლო ქართულმა ენამ, რადგანაც საქართველო მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში განიცდიდა ახლო თუ შორეული მეზობლების პოლიტიკურ-კულტურულ და ეკონომიკურ გავლენას, ასევე დღესაც და ამიტომ მით უფრო საჭიროა, უფრო ფხიზლად ვდარაჯობდეთ ჩვენს ეროვნულ საუნჯეს. ძალიან მძიმე იყო ჩვენი ენისთვის „რუსიფიკატორული პოლიტიკის“ ზეგავლენა. **განსაკუთრებით გამოვყოფდი 1978 წლის 14 აპრილს, როცა ჩვენი საზოგადოების საუკეთესო ნაწილმა დიდი რისკის ფასად ერის სათქმელი გამოხატა და ხელიდან გამოგლიჯა ჩვენს „დიდ მეზობელს“ ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსი. ეს იყო ომი, რომელშიც გაიმარჯვეთ.**

4. ენა ცოცხალი ორგანიზმია,

ის საზოგადოებრივი მოვლენაა და საზოგადოების განვითარებასთან ერთად ვითარდება. ის შეიძლება დააუადღეს კიდევ და თუ მას არ ვუმკურნალებთ, სავალალო შედეგამდე მივალთ. ეს ის საკითხია, რომელსაც ყოველი ჩვენგანი განსაკუთრებული გულისხმიერებით უნდა მოვეციდეთ. ენა რომ განვითარდეს და გამ-

ვიდრდეს, ზოგჯერ სესხება და საერთაშორისო სიტყვების შემოღება აუცილებელია, მაგრამ ეს ბევრის ხიდზე სიარულს ჰგავს, თუ გადავაჭარბებთ, საბოლოოდ იქამდე მივალთ, რომ ენის არსებობის საკითხიც შეიძლება ახალი ტექნოლოგიების განვითარება თავისთავად იწვევს ახალი ტერმინოლოგიის დამკვიდრებას, რაც ასევე საფრთხის შემცველია. ყველაზე მეტად ენას აბინძურებს ბარბარიზმების გამოყენება და კალკი. რუსულენოვან ბარბარიზმებს ახლა უკვე უხვად დაემატა ინგლისურენოვანი ბარბარიზმები და დღეს ყოველ ნაბიჯზე გვესმის: ზღრასტი, ხარაშო, ოკეი, ფართი, გაყიდვაშია, მოახდინა შემტვევა, მადლობა მოუხადა, ბოლიში გადაუხადა, საქმე იმაშია და ა.შ. ამას ზედ ემატება ყოველ ნაბიჯზე ინგლისურენოვანი პლაკატები, აბრები, წარწერები. თითქოს ამით თავს ვიწონებთ და ვერ ვხვდებით, რომ იმ ტოტს ვჭრით, რომელზედაც

ვსხედვართ.

5. სკოლას განსაკუთრებული მისია ეკისრება სახელმწიფო ენის სათანადოდ შესწავლის საკითხში და ამაში არ იგულისხმება მხოლოდ ქართულის გაკვეთილები, არამედ მრავალი სხვადასხვა პროექტის განხორციელება ამ მიმართულებით. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის

მიხედვით, ქართული ენა ინტეგრირებულია ლიტერატურასთან და ცალკე საგნად არ ისწავლება. ამ შემთხვევაში სიტყვიერების მასწავლებელს დიდი ძალისხმევა მართებს, რომ ქართული ენის საკითხებს სათანადო ყურადღება მიაქციოს. ქართული ენის სიყვარულის დანერგვა, მისი სიწმინდისთვის ნამდვილი მებრძოლების ჩამოყალიბება უნდა ხდებოდეს სკოლაში. მავანს ჰგონია, რომ ენის ცოდნა მხოლოდ გრამატიკული წესების დასწავლაა და გრამატიკა ზმნის გასარჩევად და მაღალი შეფასების მისაღებად ისწავლება. გრამატიკის სწავლას ერთადერთი მიზანი აქვს: დავხვეწოთ წერითი და ზეპირი მეტყველება. სწორედ გრამატიკის არცოდნის სავალალო შედეგია ის დამახინჯებული ქართული, რაც ხშირად გვესმის ურუნალისტებისგან, ტელეწამყვანებისგან, საჯარო მოხელეებისგან.

7. დღეს მართლაც გამოიცემა ქართული საბავშვო და ახალგაზ-

რული ლიტერატურა, ასევე გამოდის საინტერესო ჟურნალ-გაზეთები, რომელთა ხარისხს ნამდვილად ვერ დავიწუნებთ.

8. ენის გადარჩენა და მოვლა-პატრონობა ჩვენს ხელშია. მშობლიური ენის დაცვა თითოეული ჩვენგანის უმთავრესი მოვალეობაა. მკერდში მჯიღის ცემა, ანთებული თვალები, მგზნებარე ტაში, ცრუ პატრიოტიზმი არაფერს უშველის. რიგითი ჯარისკაცებისთვის უნდა დავიცვათ ჩვენი წინაპრების ნალოლი-ავეი განძი. არ არის საკმარისი ის, რომ ამ განძს ძეგლი დავუდგით თუ ჰიმნი დავუწერეთ. მხოლოდ ამით ვერ მოვიწონებთ თავს მომავლის წინაშე. ვფიქრობ, დროული და საჭიროა სახელმწიფომ განსაკუთრებული მზრუნველობა გამოიჩინოს ამ საკითხის მიმართ და განახორციელოს მთელი რიგი ღონისძიებები, თუნდაც ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ქართული ენის სახელმწიფო პალატის შექმნა.

9. „ერის ცხოვრება, მისი დიდება, მის ისტორია დაცულ არს ენით, რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს... წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას!“

(**გრ. ორბელიანი**)

„პირველ მოწვევტილ იების დიდიან, მე ვარ დამწვარი შენი მსახური; შენი თაფლი და მარილი მზრდიდა, მზე შენ დამწერე და გაზაფხული. შენ უკვდავი რძით დამამძუძურე, მზეფი ნათლისა სულში დასძარი; ჩემი დროშა ხარ მოიერიშე, ჩემი ვენახი, ჩემი ტაძარი!“

(**გ. ლეონიძე**)

**ნანა ქვარაია.**

# „რა ენა წახდეს მრის დაეცეს...“



# ენა

რუბრიკას უძღვება მანანა შულაია.

## ჩვენის ქართულ ენაზე

### 14 აპრილი დედა ენის დღეა



ქვემო მოექცა, როცა საქართველოში სასახლეებიდან იღვევებოდა სასაუბრო ქართული და მის ადგილს რუსული იკავებდა, სკოლებსა და გიმნაზიებში იკრძალებოდა ქართულ ენაზე სწავლება და რუსთველის ენა „მძღველის ენად“ მოიხსენიებოდა, როცა იმდროინდელ სამწერლობო ენაში ფეხს იკიდებდა არაბუნებრივი სინტაქსური კონსტრუქციები, ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც ვერ ეგუებოდნენ ქართული ენის შინაგან კანონზომიერებებს. სინტაქსური რუსიციზმების დამკვიდრება უთუოდ საზიანო იყო ქართული ენისათვის. იბლალებოდა „ენის სული“.

1978 წელს რუსეთმა საქართველოში სახელმწიფო ენად რუსულის გამოცხადება მოიწადინა, მაგრამ, ქართველი ერის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების ინიციატივის გვერდში ამოღგომით გადაურჩა ქვეყანა ამ მძიმე და გამოუსწორებელ ხვედრს.

დღეს რა მდგომარეობა გვაქვს? მე, რა თქმა უნდა, ენების შესწავლის წინააღმდეგი არა ვარ, მაგრამ ერთ ჭირს მეორე შეენაცვლა: „ანგლიზმების“ ასე მოძალეებულად შემოტანა ენაში, „ვირუსია“, რომელიც სწრაფად ვრცელდება და აავადებს ნებისმიერი ასაკის ადამიანს. დღესაც ქართული ენა „ჩაწიხლულია“, უკონტროლოდ მკვიდრდება ბევრი ისეთი სიტყვა, რომლის შესატყვისი ჩვენს ენას, სინონიმებით მდიდარს, მრავლად მოეპოვება, ამაში, რათქმა უნდა, ნეოლოგიზმებს არ ვგულისხმობ, რაც ენის გამდიდრების ერთ-ერთი საშუალებაა.

4. მოგახსენებთ, რომ ქართული ენა მრავალჭირგადახდი-

ლი ენაა. პოეტი ამბობს: „ენა გვაქვს წინაპართაგან, ვით განძი გადმონაცემი... ვინც ენას დაამახინჯებს, იქნება მისი დამცემი, ის ჩათვლება საერთოდ, ვითარ იულა გამცემი“.

დღეს რა ხდება? ენის სიწმინდეზე არანაირი კონტროლი არ არსებობს. ენა თვითდინებაზე მიშვებული და ვინაც არ „უზარება“, ყველა ანაგვიანებს. მასში ლომის წილი, სამწუხაროდ, ზოგიერთ ჟურნალ-გაზეთებსაც მიუძღვის. ტელევიზიებიც ბევრს სცოდავენ. ზოგიერთი ჟურნალისტის რეპორტაჟს (განსაკუთრებით პირდაპირ ჩართვებს) რომ მოისმენ, არასპეციალისტიც ხვდება მათ მეტყველებაში შეცდომებს. არადა, ტელევიზია ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურობაა, მა-

პირიქით, მივესალმები, მაგრამ ასე შორს ვერ წავალთ, ვინც მშობლიურ ენას კარგად ვერ ფლობს, ის ვერც უცხო ენებს შეისწავლის საფუძვლიანად.

6. რთული კითხვაა. იაკობმა ხომ ეპოქა შექმნა. ჩემთვის, როგორც სიტყვიერების მასწავლებლისთვის, ამ უმდიდრესი პედაგოგის გზის გამგრძელებლად, მასავით გულანთებულ ქართველად, ჭეშმარიტ მწიგნობრად, ქართულ ენაზე უსაზღვროდ შეყვარებულ ადამიანად მივიჩნევ ახალი „დედაენის“ და ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოების ავტორს, ორიოდე წლის წინ ამ ქვეყნიდან წასულ მოძღვარს, ბატონ ვახტანგ როდონაიას. მისი საფიქრალი და ტკივილი ერთი იყო-ქართული ენის სიწმინდის დაცვა და იმ დონემდე აყვანა, როგორც ამ უძველეს და უმდიდრეს ენას ეკუთვნოდა. ის ჩუმად,

თავმდაბლად, რუღუნებით აკეთებდა ამ საშვილიშვილო საქმეს. ვისაც ერთხელ მაინც ჰქონია მასთან შეხვედრის ბედნიერება, ადვილად შეამჩნევდა ყოველივე ზემოთქმულს და დამეთანხმება.

7. ამ მხრივ საშვილიშვილო საქმეს აკეთებენ გამომცემ-ლობები „არჩილი სულაკაური“, „პალიტრა L“ და სხვა. მათ მიერ გამოცემული საბავშვო ნაწარმოებები, ლექსები, ზღაპრები და სხვა ვიზუალურად ლამაზად და მაღალ პროფესიულ დონეზეა შესრულებული. განსაკუთრებით აღვნიშნავ „პალიტრა L“-ის სერიულ გამოცემას „მსოფლიო ილუსტრირებული ისტორია“, რომელიც არა მარტო ბავშვებისთვის, მოზრდილებისთვისაც მიმზიდველი და საინტერესოდ საკითხავია.

რაც შეეხება საბავშვო პერიოდულ ჟურნალ-გაზეთებს. ადრე გამოდიოდა ჟურნალები „პიონერი“, „დილა“, გაზეთი „ნორჩი ლენინელი“. მათში მთელი საქართველოს მოსწავლეთა ცხოვრებაა შექცეულია, მათივე თვალთ დანახული. არვის ეგონოს ძველ დროს მივსტიროდე, მაგრამ რაც კარგი იყო, რატომ უნდა დაიკარგოს. განა არ შეიძლება სახეშეცვლილი პერიოდული პრესა მოსწავლე-ახალგაზრდობას დღესაც ჰქონდეს. ასე ხომ ბავშვობიდანვე მიეჩვეოდნენ საკუთარი ქვეყის, შემოქმედებისა და საქმიანობის გაანალიზება-გაშუქებას.

8. რაც შეეხება ქართული ენის სწავლების საკითხს. აქაც ბევრი სირთულეა. ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს: კადრებიდან დაწყებული სწავლების პროცესითა და ხარისხით დამთავრებული.

ერთ-ერთი ურთულესი პრობლემა, სასწავლო სახელმძღვანელოების უქონლობა-ამჟამინდელმა მთავრობამ მოგვიხსნა. ყველა ბავშვი უზრუნველყოფილია სასწავლო სახელმძღვანელოებით (მაღლობა მათ ამისთვის).

კარგია, რომ ქართულის თანამედროვე სახელმძღვანელოებში მოხდა ენისა და ლიტერატურის ინტეგრირება, რაც მოსწავლესა და მასწავლებელს საშუალებას აძლევს მხატვრულ ნაწარმოებებში იხილოს, გაარჩიოს და გამოიყოს ენაში არსებული წესები, კანონზომიერებანი, გამომსახველობანი, შეძლოს პარალელი გაავლოს ძველ და თანამედროვე მწერლობის ლექსიკის, სინტაქსისა და წერის სტილს შორის, მაგრამ ასეთი სწავლება წარმატებული რომ იყოს, მოსწავლეს კარგად უნდა ფლობდეს გრამატიკულ წესებსა და კანონზომიერებებს.

ადრეულ პრაქტიკაში „ქართული ენა“ (გრამატიკა) ცალკე საგნად ისწავლებოდა, სასწავლო საათებიც შესაბამისად იყო გამოყოფილი. ენის საფუძვლიანი ცოდნა აადვილებდა მხატვრულ ნაწარმოებებზე მუშაობას. ჩემი მუშაობის ორი მოცვლიანი პრაქტიკიდან იმ დასკვნამდე მივედი. ვფიქრობ, ამ კუთხით გადასახედია სასწავლო პროგრამა. ახალ-ახალი სასწავლო საგნების დამატებას ქართული (ეროვნული) ენის ინტერესები არ უნდა ეწირებოდეს.

9. ძალიან ბევრი ლექსი და გამონათქვამი მომწონს, მაგრამ მათ შორის გამოყოფილი მუხრან მაჭავარიანის ლექსი; „ქართული განა ენაა?-ქართული,-ქართველთ რწმენაა! ღმერთია! ბედისწერაა! ზღვა როა! იმოდენაა!“

გაფრთხილებასავით ისმის დღესაც გრიგოლ ორბელიანის სიტყვები; „რა ენა წახდეს, ერი დაეცეს, წარეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას...“ ჩემს სათქმელსა და სატკივარს დიდი ილიას სიტყვებით დავამთავრებ, რომელიც გაფრთხილებასავით ისმის: „ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“

იხოლდა ცხადია.

### „ენა საღვთო რამ არის“














# 12 აპრილი – ადღომის ბრწყინვალე დღესასწაული გილოსავით!



ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა! ასე ესალმებიან ერთმანეთს ქრისტიანები ადღომას. ჩვენი მაცხოვრის, იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომა უდიდესია ქრისტიანულ დღესასწაულთა შორის. ეს არის ცოდვაზე გამარჯვების ზეიმი. ადღომას წინ უსწრებს საადგომო მარხვა, რომელიც 48 დღე გრძელდება და სულიერად გვაძმავებს ამ უდიდეს დღესასწაულთან შესახვედრად.

ადღომა მოძრავი დღესასწაულია. იგი აღინიშნება გაზაფხულის ბუნიობის შემდგომი სახეს მთვარის პირველ კვირა დღეს. წელს მართლმადიდებლურ სამყაროში წამებული იესოს მკვდრეთით აღდგომას ქრისტიანები 12 აპრილს ულოცავენ ერთმანეთს.

იესოს ჯვარცმის შემდეგ ორმა დღემ გაიარა. მესამე დღეს კი უნდა აღსრულებულიყო ქრისტეს წინასწარმეტყველება: „მესამე დღეს მკვდრეთით აღდგები“. კვირა დღეს, გათენიისას საფლავის დარაჯებმა მიწისძვრა იგრძნეს. მეტე ანგელოზი დაინახეს, რომელმაც საფლავიდან ლოდი გადააკორა. ბოლოს იხილეს მაცხოვრის საფლავიდან აღდგომა. შიშით თავზარი დაეცათ და როდესაც გონს მოეგნენ, გაიქცნენ.

აღდგომის დღესასწაულს მრავალი ტრადიცია უკავშირდება. მათ შორის არის კვერცხების წითლად შეღებვის ჩვეულება. ეს ტრადიცია წითელ პარასკევს, ანუ ქრისტეს ჯვარცმის დღეს უკავშირდება. როდესაც მარიამ მაგდალინელი იმპერატორს წარუდგინეს, მან ქვეყნის მმართველს სიმბოლურად კვერცხი გადასცა და ქრისტეს აღდგომა ახარა. იმპერატორს ამის გაგონებაზე გაეცინა და თქვა, რომ ამის დაჯერება ისეთივე რთული იქნებოდა, როგორც ის, რომ ეს კვერცხი გაწითლდებოდა. მას ჯერ სიტყვა არ დაესრულებინა და კვერცხი ჯერ გავარდისფერდა, ბოლოს კი გაწითლდა. მარიამმა იმპერატორს ისიც აუწყა, რომ კვერცხი სიცოცხლის სიმბოლოა, წითელი კვერცხი–მაცხოვრის აღდგომისა. ეს გახდა დასაბამი იმისა, რომ ქრისტიანებს უფლის აღდგომა ერთმანეთისთვის წითელი კვერცხებით მიელოცათ.

ლარნაკებში დათესილი ხორბალი და მწვანე ჯიქილზე გაგორებული წითელი კვერცხები სიკვდილის ძლევის სიმბოლოა. საადგომო სუფრა მრავალფეროვანი უნდა იყოს. ამ დღისთვის გამომცხვარი პასკა მაცხოვარს გვახსენებს, რომელიც ამბობს: „მე ვარ პური ზეცით გარადამოსული“. ქრისტე აღდგა!!!



აღდგომის დღესასწაული მისი აღმთქმის მთელმა მანძილზე წარმართულმა სამყარომ თავიანთი სცა ჯვარცმულს, როგორც ღმერთს და ამით ქრისტეს ვნების გზა სამყაროს გადარჩენის, ბოროტებისა და ცოდვის უფსკრულიდან მისი აღმოყვანის გზად აღიარა. წითელი პარასკევი დიდი მარხვის ყველაზე მძიმე დღეა. ამ დღეს ტანებში წირვა არ აღესრულება, რადგან ადამიანთა ცოდვებისგან გამოსახსნელად უფალმა საკუთარი თავი მსხვერპლად შესწირა. დიდი პარასკევის სერობა მაცხოვრის ჯვრიდან გარდამოსნასა და დასაფლავებას ეძღვნება.

## წითელი პარასკევის მიზანმიმართული ღონისძიებები და სასარგებლო ინფორმაცია

მორწმუნეები ამ დღეს ასევე კვერცხებს წითლად ღებავენ და პასკებს აცხობენ. წითელი კვერცხის მსგავსად პასკასაც რელიგიური დატვირთვა აქვს. უფლის ჯვარცმა იუდეველთა პასკის დღესასწაულზე მოხდა.

ამ დღის სახარებისეული განმარტება ასეთია: იესოს მოძულე მღვდელმთავრებმა იგი იუდას შემწეობით შეიპყრეს, წარუდგინეს ურიასტანის მმართველს პონტიელ პილატეს და მისი ჯვარცმა ითხოვეს. იგი გოლგოთის მთაზე აიყვანეს, სადაც ებრაელები დამნაშავეებს სიკვდილით სჯიდნენ. მამინე პასკის დღესასწაული იყო და ერთი დასასჯელის განთავისუფლება შეიძლებოდა. პილატემ ავაზაკი ბარაბა გამოიყვანა და იკითხა: რომელი გავათავისუფლოთო. ხალხმა ბარაბას გაათავისუფლება ითხოვა. პილატე არ იყო დარწმუნებული ქრისტეს დანაშაულში, მაგრამ ხალხის შფოთის მოერიდა, ტაშტი მოატანინა, ხელები დაიბანა და თქვა: ამ საქმეში მე უბრალო ვარო. ამის შემდეგ,

ხალხის მოთხოვნით, ქრისტე ჯვარს აცვეს. საკუთარი ხალხისაგან უარყოფილი სამყაროს მეუფე ჯვარზე აღესრულა.

აღსრულდა რაღაც დიადი, განუზომლად მნიშვნელოვანი და იღუმალი. სამი დღის შემდეგ კი მოხდა დაცემული ადამის აღდგინება, ქრისტეში ადამიანის ღმერთთან შეერთება, ცოდვების წარხოცვა და სიცოცხლის განახლება.

დაფუძნებული: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.  
გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“

სარედაქციო კოლეჯია: თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბე“ დირექტორი–მერი ლავგილავა, თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია. რედაქტორი–მანანა შულაია. მხარვეზებისტი–ნინო გერგაია. კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.

ბაზილი ანუში და ლაპაპალონდა შპს „ხობის მოამბე“ შპს.  
მის: ხობი, #816666 ნინოს ქუჩა №1 ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru

გაზეთის ანუში და ლაპაპალონდა შპს „ხობის მოამბე“ შპს.  
ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru

ბაზილი ანუში და ლაპაპალონდა შპს „ხობის მოამბე“ შპს.  
ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru

## გვწერენ

პირფასო რედაქცია!  
თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა, დიდი მადლობა გადაუხადო იმ ღმერთს, რომელიც მე დღის ღმერთს, მე დღის ღმერთს მუშაობს, ვინც ჩვენი ოჯახის უფროს-ომები აღინიშნის მიმართ გამოიჩინეს ყურადღება და მაღალი პროფესიონალიზმი.

გულიანა ბუკია, ზემო ქელონი, პენსიონერი.